პროგრამის აღწერა	საქართველოს ორგანული კანონის „დგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს. ამავე კანონის მიხედვით ასევე აკრძალულია მუნიციპალიტეტის მართვაში არსებულ ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საჯარო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურებისა და კვებითი მომსახურებისათვის გადასახადის, ტარიფის ან სხვა საფასურის შემოღება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის საჭირო ფინანსების გამოყოფა. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს სწორედ მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავა-ბაღის ასაკის ბავშვებისათვის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. დღეის მდგომარეობით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 13 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სადაც სააღმზრდელო პროცესს გადის 307-მდე ბავშვი. მუნიციპალიტეტში არსებული ბაღების რაოდენობა სრულად ვერ უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები საბავშვო ბაღის ასაკის ბავშვების მიღებას და შესაბამისი სააღმზრდელო პროცესის წარმართვას. ბავა-ბაღებსა და ადმინისტრაციაში ჯამში დასაქმებულია 178 თანამშრომელი.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები 2-დან 6 წლამდე ყველა ბავშვის უზრუნველყოფა საბავშვო ბაღის მომსახურებით, შესაბამისი სააღმზრდელო პროცესით. სკოლის ასაკს მიღწეული ბავშვების მზაობა საშუალო განათლების მიღებისათვის. პროგრამის მიზანს ასევე წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში სააღმზრდელო პროცესის უზრუნველყოფა შესაბამისი პირობებით, მათ შორის: სააღმზრდელო დაწესებულებებში დაცული იქნება სახელმწიფოს მიერ დადგენილი სტანდარტების უმეტესობა, დაცული იქნება სანიტარული და ჰიგიენური, კვების ორგანიზებისა და კვების რაციონის ნორმები.		



კოდი	პროგრამის დასახელება	განათლების ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
04 03			66.0
	პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური	
	პროგრამის აღწერა	<p>პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები განათლების სფეროს წარმომადგენელთათვის (აღმზრდელი/აღმზრდელის თანაშემწე, პედაგოგი, საჯარო სკოლის კურსდამთავრებული, მოსწავლე) საპატიო წოდებების მინიჭებას და/ან ფულადი ჯილდოების გადაცემას. პროგრამა ასევე ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების პირველი კურსის სტუდენტთათვის (სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან – 65001 ქულამდე) სწავლის საფასურის ანაზღაურებას; განხორციელდება ბანაკში დასვენების პროგრამა;</p> <p>პროგრამის ფარგლებში, ფინანსური რესურსის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია განხორციელდეს სხვადასხვა ახალგაზრდული პროექტები და საგანმანათლებლო აქტივობები.</p>	
	პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის განხორციელება:</p> <ul style="list-style-type: none"> – ხელს შეუწყობს განათლების სფეროს წარმომადგენლების შრომითი ნაყოფიერების ზრდას, გაზრდის მათ მოტივაციას. – პირველი კურსის სტუდენტებს, რომლებიც არიან სოციალურად დაუცველი ოჯახებიდან, დაეხმარება უმაღლესი განათლების მიღებაში. 	

კოდი	პროგრამის დასახელება	ა(ა)იპ „ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი“	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
04 04			238,0
	პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრი“	
	პროგრამის აღწერა	<p>პროგრამა ხორციელდება ა(ა)იპ „ამბროლაურის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის“ ბაზაზე. ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება საგნობრივი და კულტურულ-შემეცნებითი მიმართულებები. 2022 წლის მონაცემებით ცენტრში შესაბამის განათლებას იღებს საშუალოდ 260 მოსწავლე. მათ შორის, საგნობრივ მიმართულებებზე 125 და კულტურულ-შემეცნებით ღონისძიებებში 135 მოსწავლე. ცენტრში დასაქმებულია 27 შტატისანი და 7 შტატგარეშე თანამშრომელი.</p>	
	პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>პროგრამის მიზანია ინტელექტუალური და შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა და მოზარდთა შესაძლებლობების გამოვლენისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა. პროფილური/საგნობრივი წრეების ხელშეწყობა და მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის შემეცნებით-შემოქმედებითი პროგრამების განხორციელება. პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება.</p>	

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურის, ახალგაზრდობისა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 4161,8 ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის პროექტი
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	4161,8
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1656,9



05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1246,3
05 01 01 01	ა(ა)იპ ამბროლაურის სასპორტო სკოლა	456,3
05 01 01 02	ა(ა)იპ ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი „ფალავანი“	293,1
05 01 01 03	ა(ა)იპ ამბროლაურის საცურაო აუზი	183,9
05 01 01 04	ა(ა)იპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი რაჭა	238,0
05 01 01 05	ა(ა)იპ რაჭა – ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სარაგბო კლუბი „ამარანტები“	75,0
05 01 02	კაპიტალური დაბანდებები სპორტის სფეროში	410,6
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	2468,9
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	1345,1
05 02 01 01	ა(ა)იპ ამბროლაურის კულტურის ცენტრი	943,2
05 02 01 02	ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება დავით თორაძის სახელობის ხელოვნების სკოლა	203,5
05 02 01 03	ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო სადამზრდელი დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა	104,5
05 02 01 04	ა(ა)იპ ამბროლაურის სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	93,9
05 02 02	კულტურის ღონისძიებები	134,9
05 02 03	კაპიტალური დაბანდებები კულტურის სფეროში	722,5
05 02 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	50,0
05 02 05	გაზეთის მომსახურების დაფინანსება	10,0
05 02 06	ა(ა)იპ ტურისტული ცენტრი	206,4
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	36,0

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 01			1246,3
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ამბროლაურის სასპორტო სკოლა“; ა(ა)იპ „ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი „ფალავანი““; ა(ა)იპ „ამბროლაურის საცურაო აუზი“; ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „რაჭა““.	
	ქვეპროგრამის აღწერა	მუნიციპალიტეტი დიდ ყურადღებას უთმობს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას, მათ ჩართვას სხვადასხვა სპორტულ სახეობებში. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა ასიგნებები სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამისთვის. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 4 სპორტული სკოლა, ესენია: – ა(ა)იპ „ამბროლაურის სასპორტო სკოლა“; – ა(ა)იპ „ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი „ფალავანი““; – ა(ა)იპ „ამბროლაურის საცურაო აუზი“; – ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „რაჭა““ სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს 7 სპორტული წრე, ესენია: კალათბურთი, ჭადრაკი, რაგბი, კარატე, მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი, ჩოხიანი ჭიდაობა (სამბო-ძიუდო). სულ აღნიშნულ სპორტულ სახეობებს ეუფლება 170 ბავშვი. ცენტრის აღსაზრდელი პერიოდულად გადიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობას დებულობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში საქართველოს მასშტაბით. ჭიდაობის კლუბ ფალავანში ფუნქციონირებს 3 ასაკობრივი ჯგუფი (უმცროსი ჭაბუკები, ჭაბუკები და ახალგაზრდები).	



<p>ჯამში კლუბში ვარჯიშობს 77 ბავშვი. კლუბის აღსაზრდელები მონაწილეობენ საქართველოს ჩემპიონატებში, სხვადასხვა რეგიონალურ და საერთაშორისო ტურნირებში. წლის განმავლობაში კლუბი უზრუნველყოფს 2 ტურნირის ჩატარებას (რაჭის ღია პირველობა და გურამ საღარაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი). ამბროლაურის საცურაო აუზით სარგებლობა შეუძლია მუნიციპალიტეტის მოსახლეობას 6 წლის ასაკიდან. წლის განმავლობაში აუზით სარგებლობს დაახლოებით 300 ადამიანი. მათ შორის, საბონეტო მომსახურებით სარგებლობს 350. აუზს გააჩნია როგორც ღია ისე დახურული აუზი.</p> <p>საფეხბურთო კლუბ რაჭაში ასაკობრივი ჭრილის მიხედვით ფუნქციონირებს 6 საფეხბურთო სექცია (ასაკობრივი ჯგუფი). ჯამში კლუბში ვარჯიშობს 120 ბავშვი. 2 ასაკობრივი გუნდი მონაწილეობს რეგიონალურ ტურნირებში.</p>
<p>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p> <p>პროგრამის მიზანია:</p> <ul style="list-style-type: none"> - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვა სპორტში; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. <p>მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე სასპორტო სკოლით მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა.</p>

კოდი	პროგრამის დასახელება	ა(ა)იპ ამბროლაურის სასპორტო სკოლა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 01 01			456,3
	პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ამბროლაურის სასპორტო სკოლა“	
	პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „ამბროლაურის სასპორტო სკოლა“. სასპორტო სკოლაში ფუნქციონირებს 7 სპორტული წრე, ესენია: კალათბურთი; ჭადრაკი; კარატე; მაგიდის ჩოგბურთი, ფრენბურთი, ჩოხოსანთა ჭიდაობა. სულ აღნიშნულ სპორტულ სახეობებს ეუფლება 170 ბავშვი. სკოლაში სამწვრთნელო პროცესი, დასვენების დღეების გარდა, მიმდინარეობს ყოველდღიურად. სასპორტო სკოლაში დასაქმებულია ჯამში 45 ადამიანი, მათ შორის, 30 ტექნიკური და ადმინისტრაციული პერსონალი და 15 მწვრთნელი. ცენტრის აღსაზრდელები პერიოდულად გადაიან სპორტულ შეკრებებს, მონაწილეობენ სპორტულ შეჯიბრებებში და ტურნირებში საქართველოს მასშტაბით.	
	პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია: <ul style="list-style-type: none"> - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - მეტი მოზარდის ჩართვა სპორტში; - მუნიციპალიტეტის სპორტული შედეგების წარმოჩენა ქვეყნის მასშტაბით. <p>მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე სასპორტო სკოლით მოსარგებლეთა გაზრდილი რაოდენობა.</p>	

კოდი	პროგრამის დასახელება	ა(ა)იპ ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი „ფალავანი“	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 01 02			293,1
	პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი ფალავანი“	
	პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „ამბროლაურის ჭიდაობის კლუბი ფალავანი“. გამოყოფილი თანხა ხმარდება მუნიციპალიტეტში ბავშვთა ჭიდაობის განვითარებას. კლუბში ფუნქციონირებს 3 ასაკობრივი ჯგუფი (უმცროსი ჭაბუკები, ჭაბუკები და ახალგაზრდები). ჯამში კლუბში ვარჯიშობს 77 ბავშვი. კლუბში ვარჯიშები მიმდინარეობს ყოველდღიურად. კლუბის აღსაზრდელები მონაწილეობენ საქართველოს ჩემპიონატებში, სხვადასხვა რეგიონალურ და საერთაშორისო ტურნირებში. წლის განმავლობაში კლუბი უზრუნველყოფს 2 ტურნირის ჩატარებას (რაჭის ღია პირველობა და გურამ საღარაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირი). ქვეპროგრამის ფარგლებში, ასევე ფინანსდება მწვრთნელების ხელფასები, კლუბის კომუნალური და სხვა გადასახადები, ტურნირებში მონაწილე გუნდების მივლინებები და სხვა ხარჯები.	
	პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია: <ul style="list-style-type: none"> - ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; - რეგიონალურ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო ტურნირებზე მონაწილეობა და საპრიზო ადგილების დაკავება; - მეტი მოზარდის ჩართვა ჭიდაობაში; <p>მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე ჭიდაობით დაკავებული მოზარდების გაზრდილი რაოდენობა.</p>	



კოდი	პროგრამის დასახელება	ა(ა)იპ ამბროლაურის საცურაო აუზი	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 01 03			183,9
	პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ამბროლაურის საცურაო აუზი“	
	პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „ამბროლაურის საცურაო აუზი“. აუზით სარგებლობა შეუძლია მუნიციპალიტეტის მოსახლეობას 6 წლის ასაკიდან. წლის განმავლობაში აუზით სარგებლობს დაახლოებით 300 ადამიანი. მათ შორის, საცურაო აუზი მომხმარებლებს, ასევე სთავაზობს მასაჟის მომსახურებასაც. აუზს გააჩნია როგორც ღია ისე დახურული აუზი. ა(ა)იპ-ში დასაქმებულია 16 ადამიანი, რომელიც მოიცავს როგორც ადმინისტრაციულ, ასევე ტექნიკურ პერსონალს.	
	პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია: ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოზარდების და მოქალაქეების ფიზიკური გაჯანსაღება; 6 წლის ასაკიდან ყველა მოქალაქის მაქსიმალური ჩართულობა ცურვის შესწავლა-დაოსტატებაში; მოქალაქეებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვა, მათში ცურვისადმი ინტერესის გაზრდის მიზნით. მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე აუზით მომსახურეთა გაზრდილი რაოდენობა.	

კოდი	პროგრამის დასახელება	ა(ა)იპ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „რაჭა“	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 01 01 04			238,0
	პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „რაჭა“	
	პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი რაჭა“. აღნიშნული თანხა ხმარდება მუნიციპალიტეტში ბავშვთა ფეხბურთის განვითარებას. კლუბში ასაკობრივი ჭრილის მიხედვით ფუნქციონირებს 6 საფეხბურთო სექცია (ასაკობრივი ჯგუფი). ჯამში კლუბში ვარჯიშობს 120 ბავშვი. კლუბში საფეხბურთო ვარჯიშები მიმდინარეობს ყოველდღიურად. 2 ასაკობრივი გუნდი მონაწილეობს რეგიონალურ ტურნირებში. ქვეპროგრამის ფარგლებში ასევე ფინანსდება მწვრთნელების ხელფასები, კლუბის კომუნალური და სხვა გადასახადები, ტურნირებში მონაწილე გუნდების მივლინებების, გუნდების ეკვიპირების და სხვა ხარჯები.	
	პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ქვეპროგრამის მიზანია: – ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; – მეტი მოზარდის ჩართვას ფეხბურთში; მოსალოდნელი შედეგი: წლიდან წლამდე ფეხბურთით დაკავებული მოზარდების გაზრდილი რაოდენობა.	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ „ამბროლაურის კულტურის ცენტრი“	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01 01			943,2
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ამბროლაურის კულტურის ცენტრი“	
		ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სახალხო თეატრი, თოჯინების თეატრი და მოსწავლეთ თეატრი, 29 ბიბლიოთეკა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სამსახური, საესტრადო მუსიკალური ბენდი "Art New Life", სახალხო ანსამბლი „საგალობელი“ და ფოლკლორული ანსამბლი „იანვანა“.	
		2024 წელს დაგეგმილია სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარება როგორც ადგილობრივი, ასევე გავლითი ღონისძიებები.	



<p>ქვეპროგრამის აღწერა</p>	<p>ანსამბლების „იანანა“, „საგალობელი“, ჯგუფი ‘art new life’-ის სოლო კონცერტები.</p> <p>დაგეგმილია თოჯინების თეატრის ორი პრემიერა და სახალხო თეატრის ორი პრემიერა. სპექტაკლების ჩვენება როგორც ადგილობრივად, ასევე სხვადასხვა რეგიონებში.</p> <p>მუნიციპალიტეტის 29 ბიბლიოთეკაში წიგნის ფონდი შეადგენს 93829 ერთეულს. ბიბლიოთეკების მომსახურებით სარგებლობს მუნიციპალიტეტის დაახლოებით 2700 მოსახლე. 2024 წელს ბიბლიოთეკებში მნიშვნელოვან თარიღებზე (იუბილეებზე) ჩატარდება 10 სხვადასხვა სახის ღონისძიება.</p> <p>კულტურულ მემკვიდრეობის დაცვის სამსახური ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული კულტურული ძეგლების მონიტორინგს. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღრიცხულია 103 ძეგლი, მათ შორის კულტურულ იმემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მინიჭებული აქვს 70-მდე ძეგლს. წლის განმავლობაში სამსახური ახორციელებს ძეგლების მონიტორინგს, ფოტოფიქსაციას და აწვდის შესაბამის ინფორმაციას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს.</p> <p>საესტრადო ჯგუფი, სახალხო ანსამბლი საგალობელი და ფოლკლორული ანსამბლი იანანა მონაწილეობას დებულობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ სხვადასხვა კულტურულ და სადღესასწაულო ღონისძიებებში.</p>
<p>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ქვეპროგრამის მიზანია: კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ფართო მასების ჩართულობა, მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია, შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა.</p>

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ ამბროლაურის სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება დავით თორაძის სახელობის ხელოვნების სკოლა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01 02			203,5
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>ა(ა)იპ „ამბროლაურის სკოლისგარეშე საგანმანათლებლო დაწესებულება დავით თორაძის სახელობის ხელოვნების სკოლა“</p>		
<p>ქვეპროგრამის აღწერა</p>	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო განათლების სკოლა. სახელოვნებო სკოლაში გაერთიანებულია საფორტეპიანო (16 მოსწავლე), ხალხური საკრავების და გიტარის (39 მოსწავლე), საგუნდო და საესტრადო ვოკალის (45 მოსწავლე), ქართული ხალხური სიმღერების (20 მოსწავლე), კლასიკური, თანამედროვე და ქართული ცეკვების (135 მოსწავლე) მიმართულებები. სახელოვნებო სკოლაში სახელოვნებო განათლებას იღებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 255 ბავშვი. სკოლებში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 15 თანამშრომელს.</p>		
<p>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>სახელოვნებო სკოლის ქვეპროგრამის მიზანია: ფორტეპიანოს, ხალხური საკრავების, საესტრადო სიმღერების, ქართული და თანამედროვე კლასიკური ცეკვების შესწავლა ბავშვებსა და მოზარდებში. მუსიკის, ხელოვნების შესწავლით დაინტერესებულ პირთა მოძიება და შეკრება. მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული, ხელოვნების მოყვარული მოსწავლეების წარმოჩინება და ხელოვნების სფეროს პროპაგანდა.</p>		
	<p>მოსალოდნელი შედეგი: სახელოვნებო სკოლა წლის განმავლობაში ფუნქციონირებს შეუფერხებლად. სრულად არის დაკმაყოფილებული სამუსიკო დაწესებით განათლებაზე მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვებისა და მოზარდების მოთხოვნა. სკოლების აღსაზრდელები მონაწილეობენ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებებში, ასევე ქვეყნის მასშტაბით და ქვეყნის ფარგლებს გარეთ ჩატარებულ კონკურსებსა და ფესტივალებში.</p>		

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო საადმინისტრაციო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლის“ ქვეპროგრამა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01 03			104,5
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სახელოვნებო საადმინისტრაციო დაწესებულება ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა“</p>		
<p>ქვეპროგრამის აღწერა</p>	<p>სქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამხატვრო სკოლა. სამხატვრო სკოლაში ისწავლება სახვითი ხელოვნების და გამოყენებითი ხელოვნების დარგები. სკოლაში სამხატვრო განათლებას იღებს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები 75 ბავშვი. სკოლებში დასაქმებულთა რაოდენობა შეადგენს (ადმინისტრაციული პერსონალი და პედაგოგები) 13 თანამშრომელს. ქვეპროგრამა ზრუნავს მოზარდთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე და იგი ითვალისწინებს მოზარდი თაობის</p>		



ინტერესებს, საშუალებას აძლევს მათ აირჩიონ სახვითი თუ გამოყენებითი ხელოვნების დარგები: თეატრი, ჭრა-კერვა, ტიხრული მინანქარი, ხალიჩა-ფარდაგი, ხატუნა.

ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სამხატვრო სკოლის პროფილების განვითარება, სასწავლო დონის ამაღლება, ხელოვნების მოყვარულ მოზარდთა კონტიგენტის გაზრდა. აღსაზრდელთა ჩართულობა გამოფენებში და სხვა შემოქმედებით ღონისძიებებში.
--	--

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ა(ა)იპ ამბროლაურის სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 01 04			93.9
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ ამბროლაურის სახვითი ხელოვნებისა და მხარეთმცოდნეობის მუზეუმი	
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი მუზეუმი. მუნიციპალურ მუზეუმში დღეის მდგომარეობით განთავსებულია 503 ექსპონატი. წლის განმავლობაში ვიზიტორთა რაოდენობა საშუალოდ შეადგენს 1000-ს. მუზეუმში წლის განმავლობაში, მნიშვნელოვან თარიღებზე (იუბილეებზე), ეწყობა სხვადასხვა ღონისძიებები და გამოფენები.	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		ხელოვნების მოყვარულ მოზარდთა კონტიგენტის გაზრდა. მოსახლეობის ჩართულობა გამოფენებში და სხვა შემოქმედებით ღონისძიებებში.	

კოდი	პროგრამის დასახელება	კულტურის ღონისძიებები	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 02			134.9
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური	
პროგრამის აღწერა		<p>კულტურული ღონისძიებების პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 2 ქვეპროგრამა, ესენია:</p> <ul style="list-style-type: none"> – სადღესასწაულო და კულტურული ღონისძიებების ქვეპროგრამა; – საპატიო წოდებების მინიჭების ქვეპროგრამა; <p>სადღესასწაულო ღონისძიებების ქვეპროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო და სახალხო სადღესასწაულო/კულტურული ღონისძიებების აღნიშვნას, რომელთა ორგანიზებაც ასევე ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის/რეგიონის პოპულარიზაცია/ცნობადობის ამაღლებას, ადგილობრივი არტისტების კულტურული პროდუქტების საზოგადოებისთვის გაცნობას და სხვადასხვა სახელოვნებო მიმართულების განვითარებას. ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებების დაფინანსება: დამოუკიდებლობის დღისადმი (26 მაისი) მიძღვნილი ღონისძიება; ახალი წლის ღონისძიება. ფუძეობა.</p> <p>საპატიო წოდებების მინიჭების ქვეპროგრამა ითვალისწინებს 3 სახის წოდების მინიჭების ღონისძიებების დაფინანსებას, ესენია: ამბროლაურის საპატიო მოქალაქის წოდებების მინიჭება; კულტურის, სპორტის და სამედიცინო სფეროს წარმომადგენელთათვის საპატიო წოდებების მინიჭება და/ან ჯილდოების გადაცემა; ამბროლაურის მუნიციპალიტეტზე უანგარო მზრუნველის წოდების მინიჭება.</p> <p>ამბროლაურის საპატიო მოქალაქის წოდება ენიჭება სრულწლოვან პირს, რომელსაც აქვს განსაკუთრებული დამსახურება მუნიციპალიტეტისა და/ან ქვეყნის წინაშე. გააჩნია განათლების, მეცნიერების, კულტურის, სპორტის, ხელოვნების და სხვა მიმართულებით გამორჩეული მიღწევები.</p> <p>კულტურის, სპორტის და სამედიცინო სფეროს წარმომადგენელთათვის საპატიო წოდების მინიჭების ღონისძიებების ფარგლებში ხორციელდება კულტურის, სპორტის და სამედიცინო სფეროს მოღვაწეებისთვის საპატიო წოდებების მინიჭება და/ან ფულადი ჯილდოების გადაცემა.</p> <p>ამბროლაურის მუნიციპალიტეტზე უანგარო მზრუნველის წოდება წლის განმავლობაში მიენიჭება არაუმეტეს 3 აქტიურ და ინიციატორ მოქალაქეს.</p> <p>ფინანსური რესურსის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება.</p>	



<p>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მუნიციპალიტეტის მოსახლეობისა და სტუმრებისათვის სადღესასწაულო და სასიამოვნო გარემოს შექმნა; საზოგადოების ფართო ნაწილის ჩართულობა სადღესასწაულო ღონისძიებებში; ნიჭიერი და პერსპექტიული შემოქმედების წარმოჩენა; ღირსეული, ღვაწლმოსილი და დამსახურებული ადამიანების დაფასება, მხარდაჭერა და სტიმულირება. საზოგადოებაში მოხალისეობის იდეის წახალისება, აქტიური და ინიციატორი მოქალაქეების სტიმულირება. განხორციელებული ღონისძიებებისადმი საზოგადოების ინტერესის, ასევე, ღონისძიებებზე მონაწილეთა და დამსწრეთა რაოდენობის ზრდა.</p>
--	--

კოდი	პროგრამის დასახელება	ა(ა)იპ „ტურისტული ცენტრის“ ქვეპროგრამა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 06			206,4
<p>პროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>ა(ა)იპ „ტურისტული ცენტრი“</p>		
<p>პროგრამის აღწერა</p>	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება ა(ა)იპ „ტურისტული ცენტრი“. ცენტრი უზრუნველყოფს საინფორმაციო ბაზის შექმნას, რომელშიც თავმოყრილია ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტურისტული ობიექტების, მათ შორის სასტუმროების, ტურისტული ლოკაციების, კვების და სხვა ობიექტების შესახებ. ცენტრი ახორციელებს ბაზის მუდმივ განახლებას. ცენტრი ამზადებს და გამოსცემს ტურისტულ-საინფორმაციო ბუკლეტებს და რუკებს, ორგანიზებას უწევს ტურისტულ პრომო კლიპების გადაღებას. ცენტრი მონაწილეობს იღებს სხვადასხვა გამოფენებში, სადაც წარადგენს და პოპულარიზაციას უწევს მუნიციპალურ პროდუქციას და წარმოაჩენს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტურისტულ შესაძლებლობებს. ცენტრი პერიოდულად აწყოებს შეხვედრებს ტურისტულ კომპანიებთან, აწვდის მათ შესაბამის ინფორმაციას მუნიციპალიტეტის შესახებ. „ტურისტული ცენტრი“ შემოსულ ვიზიტორებს უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტურისტული შესაძლებლობების შესახებ ყველა საჭირო ინფორმაციით. ა(ა)იპ „ტურისტული ცენტრში“ დასაქმებულია 11 თანამშრომელი.</p>		
<p>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>ქვეპროგრამის მიზანია: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ტურიზმის მდგრადი განვითარება, ტურიზმის განვითარების საფუძველზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესება. მიმზიდველი ტურისტული გარემოს შექმნა ადგილობრივი კულტურული, ეთნოგრაფიული, ეკო-სისტემისა და ბუნებრივი ღირსეულობების შენარჩუნებით. ტურისტების მოზიდვა, ადგილობრივი ტურიზმის განვითარება, შიდა და საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე ადგილის დამკვიდრება. ქვეპროგრამის მოსალოდნელი შედეგი: ტურისტების ნაკადის გაზრდა, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლებსა და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე.</p>		

კოდი	პროგრამის დასახელება	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 03			36,0
<p>პროგრამის განმახორციელებელი</p>	<p>განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური</p>		
<p>პროგრამის აღწერა</p>	<p>პროგრამა ითვალისწინებს ახალგაზრდული ინიციატივების, ადგილობრივი და საერთაშორისო ახალგაზრდული პროექტების ხელშეწყობას, იგი ორიენტირებულია: მასობრივი სპორტის პოპულარიზაცია და განვითარებაზე, საზოგადოებაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებაზე, მოსახლეობის მაქსიმალურ ინკლუზიაზე მასობრივ სპორტულ ღონისძიებებში. იგი ასევე გულისხმობს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის ქ. ამბროლაურში მდებარე სხვადასხვა პროფილის სკოლისგარეშე დაწესებულებების სასწავლო პროგრამებზე თანაბარი წვდომის ხელშეწყობას. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ტრანსპორტის მომსახურების შესყიდვა. ტრანსპორტირება განხორციელდება სამ პირითად მარშრუტზე სასწავლო პროგრამებში ჩართული ახალგაზრდების გადაადგილების უზრუნველსაყოფად. პროგრამა ასევე მოიცავს ახალგაზრდობისთვის გასართობი, შემეცნებითი, სპორტული ღონისძიებების პოპულარიზების ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილი აქტივობების მხარდაჭერას. პროგრამის განხორციელებით ახალგაზრდებს საკუთარი უნარების რეალიზებისა და განვითარების შესაძლებლობა მიეცემათ. პროგრამა შედგება შემდეგი 3 ქვეპროგრამისაგან: <ul style="list-style-type: none"> - ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის ქვეპროგრამა; - მასობრივი სპორტული ღონისძიების ორგანიზება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის ქვეპროგრამა; - მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის სკოლისგარეშე დაწესებულებებზე წვდომის ხელშეწყობის ქვეპროგრამა. <p>ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქვეყნის მასშტაბით გასამართ სხვადასხვა ახალგაზრდულ ღონისძიებებზე პირის/პირთა ჯგუფის ტრანსპორტირებას, სპორტულ ოლიმპიადებისთვის მონაწილეთა ფორმების შექმნას და მათ დაჯილდოებას, კულტურულ-შემეცნებითი ღონისძიების მოწყობას, სოციალურ-საგანმანათლებლო პროექტებში მონაწილეობას;</p> <p>მასობრივი სპორტული ღონისძიების ორგანიზება, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაციის ქვეპროგრამის</p> </p>		



	<p>ფარგლებში გაიმართება მართონი, ყველა მონაწილეს გადაეცემა საიმიჯო მისური, კეპი, სიგელი. გამარჯვებულებს (პირველ, მე-2 და მე-3 ადგილოსანი ვაჟი და გოგონა, უზუცესი და ნორჩი მონაწილე) დამატებით გადაეცემა ფულადი პრიზი (100 ლარი);</p> <p>მოსწავლე-ახალგაზრდობისთვის სკოლისგარეშე დაწესებულებებზე წვდომის ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში დამზადდება უფასო მგზავრობის ბარათები; განხორციელდება სატენდერო შესყიდვა ბენეფიციართა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფის მიზნით (200-220 ბენეფიციარის ტრანსპორტირება).</p> <p>პროგრამის ფარგლებში, ფინანსური რესურსის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებელია სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება.</p>
<p>პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაში ახალგაზრდობის ჩართულობის ზრდა;</p> <p>ახალგაზრდობისთვის სოციალურ-საგანმანათლებლო, გასართობ-შემეცნებით, სპორტულ და სხვა ტიპის ღონისძიებების მოწყობა და მათში მონაწილეობის მიღება;</p> <p>ახალგაზრდობისთვის შეიქმნება შესაბამისი გარემო საკუთარი უნარების განვითარებისა და რეალიზებისათვის.</p>

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 1291,3 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2024 წლის პროექტი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1291,3
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	493,5
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	179,0
06 01 03	ხანგრძლივად მოაგადე პაციენტთა სამედიცინო მომსახურების (მედიკამენტური მკურნალობა) და ფენილკეტონურიით დაავადებულ ბავშვთა დიეტური კვებით მკურნალობის ქვეპროგრამა	35,0
06 01 04	ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტთა დაფინანსების/თანადაფინანსების ქვეპროგრამა	145,0
06 01 06	ამბულატორიულ-მალატექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ქვეპროგრამა	48,0
06 01 07	ქირურგიული ოპერაციების საჭიროების მქონე პაციენტთა თანადაფინანსების ქვეპროგრამა	86,5
06 02	სოციალური დაცვა	797,8
06 02 01	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება და 10 001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების საახალწლო და სააღდგომო სასურსათო პაკეტით უზრუნველყოფა	45,7
06 02 02	ახალშობილთა და ახლადშექმნილი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება	48,0
06 02 03	მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება	1,5
06 02 04	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვების ერთჯერადი ფინანსური დახმარება, შშმ პირთა ზრუნვის ხელშეწყობა, დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეთა დახმარება	191,0
06 02 05	ხანძრის შედეგად (საცხოვრებელ სახლზე) დაზარალებული ოჯახების ფინანსური დახმარება	90,0
06 02 06	სამი და მეტი 18 წლამდე ასაკის ბავშვიან ოჯახზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება	81,0
06 02 07	მარჩენალდაკარგული (18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება	24,7
06 02 08	უსახლკარო ოჯახების საცხოვრებელი ფართით ან ბინის ყოველთვიური ქირით უზრუნველყოფა	151,5



06 02 09	მარტოხელა მშობლის ერთჯერადი ფინანსური დახმარება	6,6
06 02 10	ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება	20,0
06 02 11	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ზამთრის თბობისთვის ერთჯერადი ფულადი დახმარება	82,8
06 02 13	ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა	55,0

კოდი	პროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 01 01			179,0
	პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ა(ა)იპ „ამბროლაურის ერთიანი ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“	
	პროგრამის აღწერა	<p>თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინფექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება. პროგრამის ფარგლებში ამბროლაურის ერთიანი ადგილობრივი ჯანდაცვის ცენტრი ძირითადად ახორციელებს შემდეგ ღონისძიებებს:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლი); 2. იმუნოზაცია; 3. ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა; 4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა. 5. თამბაქოს მოწევის აკრძალვის მონიტორინგი; 6. მუნიციპალიტეტში მცხოვრები C ჰეპატიტზე სკრინინგით დადებითი ბენეფიციარების მოძიებისა და შემდგომ კონფირმაციულ კვლევებში ჩართვის პროგრამა. 	
	პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია: მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება; მოსალოდნელი შედეგი: მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება .	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ხანგრძლივად მოავადე პაციენტთა სამედიცინო მომსახურების ქვეპროგრამა (მედიკამენტური მკურნალობა) და ფენილკეტონური დაავადებულ ბავშვთა დიეტური კვებით მკურნალობის ქვეპროგრამა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 01 03			35,0
	ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სოციალური და ჯანდაცვის სამსახური	
		<p>მუნიციპალიტეტში ბევრია მედიკამენტების მომხმარებელი ხანგრძლივად მოავადე პირები, რომელთაც მედიკამენტების ღირებულებიდან გამომდინარე არ აქვთ მათი შეძენის ფინანსური საშუალება.</p> <p>ქვეპროგრამით მოსარგებლეა ეპილეფსიით, პარკინსონით, გლავუკომით, ფსორიაზით, პოლიათროზით, პოლიართრიტით, კუნთოვანი დისტროფიით, სისხლის ქრონიკული დაავადებებით (თრომბოციტოპენიური პურპურა), მიასტენიით, ციროზით, ინსულტით (მოძრაობის მკვეთრი მოშლა), შაქრიანი დიაბეტით, ფარისებრი ჯირკვლით</p>	



<p>ქვეპროგრამის აღწერა</p>	<p>გამოწვეული დაავადებებით (დიფუზიური ტოქსიკური ჩიყვი, კვანძოვანი ჩიყვი, აუტოიმუნური თირეოიდიტი, ჰიპოთირეოზი), ბრონქული ასთმით, ფილტვის ქრონიკული ობერტუქციული დაავადებით (ფქოდ) ხანგრძლივად მოავადე პირი, რომელსაც ავადობის დიაგნოზით სჭირდება უწყვეტი თერაპიული მკურნალობის კურსი. ასევე ფინანსდება გულის უკმარისობის III და IV კლასის დაავადების მქონე პირი, რომელიც საჭიროებს მედიკამენტებით მკურნალობას; თვალის დაავადების მქონე პირი, რომელიც საჭიროებს ავასტინის ინექციით მკურნალობას.</p> <p>დახმარება გაეწევა მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარებს, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 150 000-ს. (გარდა 0-18 წლამდე ბავშვებისა და თვალის დაავადების მქონე პირებისა, რომელთაც ესაჭიროებათ ავასტინის ინექციით მკურნალობა)</p> <p>ეპილეფსიით, პარკინსონით, გლავუკომით, ფსორიაზით, პოლიათროზით, პოლიართრიტით, კუნთოვანი დისტროფიით, სისხლის ქრონიკული დაავადებებით (თრომბოციტოპენიური პურპურა), მიასთენიით, ციროზით, ინსულტით (მომრავობის მკვეთრი მოშლა), შაქრიანი დიაბეტით, ფარისებრი ჯირკვლით გამოწვეული დაავადებებით (დიფუზიური ტოქსიკური ჩიყვი, კვანძოვანი ჩიყვი, აუტოიმუნური თირეოიდიტი, ჰიპოთირეოზი), ბრონქული ასთმით, ფილტვის ქრონიკული ობერტუქციული დაავადებით (ფქოდ) ხანგრძლივად მოავადე პირი, რომელსაც ავადობის დიაგნოზით სჭირდება უწყვეტი თერაპიული მკურნალობის კურსი დაფინანსდება წლიური 200 ლარიანი ლიმიტის ამოწურვამდე; დიაბეტის შემთხვევაში სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრული ლიმიტის ამოწურვის შემთხვევაში არაუმეტეს 100 ლარისა. სახელმწიფო გულის უკმარისობის III და IV კლასის დაავადების მქონე პირების მკურნალობა დაფინანსდება წლიური 400 ლარიანი ლიმიტის ამოწურვამდე; თვალის დაავადების შემთხვევაში ავასტინის ინექციით დაფინანსდება წლიური 500 ლარიანი ლიმიტით.</p> <p>აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში თითოეულ ბენეფიციარზე დაფინანსება განისაზღვროს არაუმეტეს 600 (ექვსასი) ლარით.</p> <p>ქვეპროგრამით მოსარგებლეა ფენილკეტონური დაავადების მქონე პირი, რომელსაც ავადობის დიაგნოზით სჭირდება უწყვეტი დიეტოთერაპია.</p> <p>დიეტოთერაპიისათვის აუცილებელი სპეციალური უცილო პროდუქტი დაფინანსდება წლიური ლიმიტით არაუმეტეს 3500 (სამი ათას ხუთასი) ლარისა.</p> <p>პროგრამა გათვლილია დაახლოებით 130 ბენეფიციარზე.</p>
<p>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ხელმისაწვდომობის გაზრდა მედიკამენტებზე;</p> <p>ბავშვის ჯანმრთელობისათვის აუცილებელი დიეტური კვებითი მკურნალობის ხელშეწყობა.</p>

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტთა დაფინანსების/თანადაფინანსების ქვეპროგრამა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 01 04			145,0
<p>ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური</p>	<p>სოციალური და ჯანდაცვის სამსახური</p>		
<p>ქვეპროგრამის აღწერა</p>	<p>მუნიციპალიტეტში ფიქსირდება ონკოლოგიური ავადმყოფების დიდი რაოდენობა, რომელთაც ესაჭიროებათ სხვადასხვა სახის მკურნალობა, რაც საკმაოდ ძვირადღირებულია.</p> <p>ქვეპროგრამით მოსარგებლეა ონკოლოგიური/სიმსივნური დაავადების მქონე პაციენტი, რომელსაც ავადობის დიაგნოზით ესაჭიროება ქირურგიული ოპერაცია, ქიმიოთერაპია, სხივური თერაპია, ჰორმონოთერაპია, მედიკამენტური მკურნალობა, სამედიცინო კვლევები და სხვა.</p> <p>ბენეფიციარი ფინანსდება ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით წლიური 3000 ლარიანი ლიმიტის ამოწურვამდე. პროგრამა გათვლილია დაახლოებით 170 ბენეფიციარზე.</p>		
<p>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ფინანსური ხელშეწყობა; ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.</p>		

კოდი	ქვეპროგრამის	ამბულატორიულ მაღალტექნოლოგიურ სამედიცინო მომსახურებაზე ფინანსური	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
------	--------------	--	----------------------------------



06 01 06	დასახელება	ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ქვეპროგრამა	48,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>დახმარება გაეწევა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მუდმივად მცხოვრების სტატუსის მქონე პირებს</p> <p>ა) მე-4 პუნქტის „ა“, „ბ“, „დ“, „ე“, ქვეპუნქტების შემთხვევაში ერთ ბენეფიციარზე წლიური ლიმიტით ჯამში არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა;</p> <p>ბ) მე-4 პუნქტის „გ“ და „ვ“ ქვეპუნქტების შემთხვევაში ერთ ბენეფიციარზე წლიური ლიმიტით ჯამში არაუმეტეს 800 (რვაასი) ლარისა;</p> <p>გ) მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის შემთხვევაში - წლიური ლიმიტით არაუმეტეს 1500 (ათას ხუთასი) ლარისა.</p> <p>3. ქვეპროგრამის ფარგლებში არ ფინანსდება საზღვარგარეთ ჩასატარებელი და უკვე ჩატარებული სამედიცინო მომსახურებისათვის გადახდილი თანხა.</p> <p>4. ქვეპროგრამით დაფინანსდება შემდეგი მომსახურებები:</p> <p>ა) კომპიუტერული ტომოგრაფია;</p> <p>ბ) მაგნიტურ-რეზონანსური ტომოგრაფია;</p> <p>გ) კორონაროგრაფია/ანგიოგრაფია;</p> <p>დ) ელასტოგრაფია;</p> <p>ე) დოპლეროგრაფია;</p> <p>ვ) აორტოგრაფია</p> <p>ზ) ფენილკეტონური დაავადების დასადგენად გენის კვლევა მუტაციებზე.</p> <p>პროგრამა გათვლილია დაახლოებით 90 ბენეფიციარზე.</p>		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ფინანსური ხელშეწყობა; ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.		

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ქირურგიული ოპერაციის საჭიროების მქონე პაციენტთა თანადაფინანსების ქვეპროგრამა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 01 07			86,5
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>მოსახლეობის დიდ ნაწილს ხშირ შემთხვევაში ესაჭიროება ოპერაციული მკურნალობა, რომელიც ძვირადღირებულია და არ არის ხელმისაწვდომი, რაც იწვევს მათი ჯანმრთელობის გაუარესებას;</p> <p>ქვეპროგრამით მოსარგებლე მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები სტატუსის მქონე პირი, რომელსაც ავადობის დიაგნოზით ესაჭიროება ქირურგიული მკურნალობა.</p> <p>1. დახმარება გაეწევა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მუდმივად მცხოვრები სტატუსის მქონე პირს, რომელსაც ჩაუტარდა ან ესაჭიროება ქირურგიული ოპერაცია და ბენეფიციარის მხრიდან თანაგადახდა არ აღემატება 3000 ლარს. მოსარგებლე ფინანსდება, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, წლიური 1000 ლარიანი ლიმიტის ამოწურვამდე.</p> <p>2. დახმარება გაეწევა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ და მუდმივად მცხოვრები სტატუსის მქონე პირს, რომელსაც ჩაუტარდა ან ესაჭიროება ქირურგიული ოპერაცია და ბენეფიციარის მხრიდან თანაგადახდა აღემატება 3000 ლარს. მოსარგებლე ფინანსდება, ფაქტობრივი ხარჯის მიხედვით, წლიური 2000 ლარიანი ლიმიტის</p>		



	ამოწურვამდე. 3. აღნიშნული ფინანსური დახმარება ასევე გაიცეს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ სტუდენტებზე, რომელთაც შეჩერებული აქვთ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი.
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ფინანსური ხელშეწყობა; ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება და 10 001-მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების საახალწლო და სააღდგომო სასურსათო პაკეტი უზრუნველყოფა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	
06 02 01			45.7	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება: 1 - ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვების მომსახურება, რომელიც გაეწევა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს ან მართლაც პენსიონერს (რომელსაც არ ჰყავს ოჯახის წევრი) რომლის სარეიტინგო ქულა სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში არ აღემატება 65 000-ს. 2 - ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირზე/ოჯახზე, საახალწლოდ და სააღდგომოდ გაიცემა სასურსათო პაკეტი არაუმეტეს 100 ლარისა, რომელთაც სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში აქვს 10 001-მდე სარეიტინგო ქულა. პროგრამა გათვლილია სავარაუდოდ 72 ბენეფიციარზე.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		მუნიციპალიტეტში მცხოვრები, პროგრამით მოსარგებლე ყველა ბენეფიციარი უზრუნველყოფილი იქნება უფასო ერთჯერადი კვების მომსახურებით. შეჭირვებულთა ოჯახებისათვის სადღესასწაულო განწყობის შექმნა.		

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ახალშობილთა და ახლადშექმნილი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში	
06 02 02			48.0	
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
